

## ვინფრიდ ბოდერი – 75

### ძვირფასო ბატონო ვინფრიდ,

„კადმოსის“ სარედაქციო კოლეგიისათვის დიდი პატივი და სიამოვნებაა, მოგილოცოთ დაბადების 75 წლისთავი საუკეთესო სურვილებით.

თქვენი მდიდარი და მრავალფეროვანი ლინგვისტური მემკვიდრეობა პროფესიულ წრეებში ჯეროვნადაა დაფასებული. მაგრამ ამჯერად ჩვენ გვინდა ქართველ ჰუმანიტარ მეცნიერთა პოზიციიდან განსაკუთრებული (რომ არა ვთქვათ მიკერძოებული) მაღლიერება გამოვხატოთ ქართველოლოგიურ კვლევაში თქვენ მიერ შეტანილი უნიკალური წვლილის გამო.

გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულიდან მოკიდებული დღემდე თქვენ დიდი დრო და ენერჯია შეალიეთ ქართველოლოგიურ შტუდიებს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ესა თუ ის საკითხი მეტ-ნაკლებად შესწავლილი იყო (მაგ., ქართული ზმნის ქცევის კატეგორია), თქვენ ახლებური ხედვით, ღრმა თეორიული გააზრებითა და აპრობირებული მეთოდის მომარჯვებით დააზუსტეთ და საგრძნობლად გაამდიდრეთ აქამდე არსებული ცოდნა ინდოევროპულ, აგრეთვე სხვა ენათა ოჯახებისათვის უცნობი ზმნური მორფოლოგიური კატეგორიის შესახებ; უმრავლეს შემთხვევაში კი თქვენი საკვლევი თემა ნაკლებ შესწავლილ საკითხებს განეკუთვნებოდა, ან სულაც terra incognita-ს წარმოადგენდა.

თუ ვიმსჯელებთ საანალიზოდ შერჩეული თემებისა და კვლევის თქვენეული სტილის მიხედვით, გარდა წმინდა ლინგვისტური საკითხებისა (ფონეტიკა-ფონოლოგია, გრაფოლოგია, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა, ტექსტის ლინგვისტიკა, დიალექტოლო-

გია...), გაანალიზებული გაქვთ ფოლკლორული ტექსტები, კერძოდ, ქართული ანდაზები თუ სვანური თხრობითი ტექსტი სემანტიკური ნიშნითაც, ისევე როგორც ქართულში ფართოდ გავრცელებული სა-ალერსო მიმართვები („შენი ჭირიმე“, „გენაცვალე“ ტიპისა) და ახსნილი გაქვთ მათი ეტიმოლოგიური საფუძველი. თქვენი სამეცნიერო ინტერესები თავს იყრის ენობრივი თვითშემეცნების (იდენტობის) რთული და მარად საჭირობოროტო საკითხების გარშემო - როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ ჭრილში. როცა საჭირო გამხდარა, ამ ასპარეზზე, არც პოლემიკაში ჩაბმას მორიდებიხართ და ამ პროცესში გიჩვენებიათ მეცნიერული პაექრობის კლასიკური ნიმუში.

ცალკე თემაა თქვენ მიერ ქართველოლოგიური თუ ზოგადად კავკასიოლოგიური ლიტერატურის უმდიდრესი ბიბლიოგრაფიის შედგენა; იუბილარის მოღვაწეობის ამ მხარესაც საყოველთაოდ ცნობილი გერმანული სიზუსტისა და აკურატულობის დაღი ატყვია. ესეც თქვენი დიდი მეცნიერული კულტურის ნაწილია. ამ ბიბლიოგრაფიაზე საუბრისას უსათუოდ უნდა გავიხსენოთ თქვენი დიდი მეგობარი, მასპინძელი და კოლეგა, ბატონი გურამ თოფურია.

დასასრულ, როგორ შეიძლება არ შევეხოთ თქვენს მომხიბლავ, წმინდა ადამიანურ თვისებებს, რომლებიც ჩაყენებული გაქვთ თქვენსავე სამეცნიერო საქმიანობის სამსახურში. წლების განმავლობაში თქვენ ოლდენბურგში აწყობდით კონფერენციას კავკასიოლოგიაში, რომელზედაც რიგ-რიგობით იწვევდით მეგობარ კოლეგებს კავკასიიდან. გარდა იმისა, რომ იმ დღეებში ისინი თქვენს სახლში ყოფნისას ყველა შეთავაზებული სიკეთით ნებივრობდნენ, ეცნობოდნენ ქალაქს და ხალისობდნენ ქალაქგარეთ მოწყობილ ექსკურსიებში. ყველა ამ ღონისძიებაში კი მთავარ როლს სიამოვნებით ასრულებდა თქვენი ძვირფასი მეუღლე და ჩვენი ერთგული მეგობარი – დორისი. დიდი მადლობა ორივეს სულგრძელობისათვის!

კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი მოლოცვა და დღეგრძელობის სურვილები!

*ჟურნალ „კადმოსის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები*

## პროფ. ვინფრიდ ბოედერის ღვაწლისათვის ქართველთა ენობრივი სამყაროს კვლევაში

დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს პატარა და კობტა ქალაქი ოლდენბურგი. ეს ქალაქი საუნივერსიტეტოა და ამ უნივერსიტეტის პროფესორია ცნობილი ქართველოლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ბატონი ვინფრიდ ბოედერი. ამ ქალაქის სახელი ლამის ყოველი ქართველოლოგისათვის მშობლიურად ჟღერს, რადგან, აგერ, ნახევარი საუკუნეა, რაც ბოედერების სახლი კეთილი მასპინძელი და ერთგვარი კულტურულ-სამეცნიერო ცენტრია როგორც საქართველოდან და კავკასიიდან ჩამსვლელთათვის, ისე უცხოელი ქართველოლოგ-კავკასიოლოგთათვის (და ამაში არანაკლები დამსახურება მიუძღვის ბატონი ვინფრიდის მეუღლეს, დიდბუნებოვან ქალბატონ დორისს)...

ბატონი ვინფრიდის ჯერ დაინტერესება, ხოლო შემდეგ მჭიდროდ დაკავშირება ქართველურ ენათა სამყაროსთან ერთმა შემთხვევამ განაპირობა – იგი შეხვდა ქართველ ემიგრანტს, ყოფილ სამხედრო ტყვეს ნიკოლოზ ჯანელიძეს და სამშობლომონატრებული ქართველის ენთუზიაზმს სასიკეთოდ დაემთხვა ახალგაზრდა მკვლევრის ლინგვისტური ინტერესი ახალი ენობრივი სინამდვილის შეცნობისა... დღეს შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ის შეხვედრა მართლაც ფეხბედნიერი აღმოჩნდა...

თითქმის 50 წელია, რაც პროფ. ვ. ბოედერი მისთვის ჩვეული პროფესიული ერთგულებით იკვლევს ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის, ქართველური ენების ცალკეული ქვესისტემების საერთო თუ სპეციფიკურ პრობლემებს.

გამოჩენილმა ქართველოლოგმა ამ დროის განმავლობაში საკუთარი დაკვირვების საგნად გაიხადა ძველი და ახალი ქართულის, ცალკეული დიალექტების ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა თუ ტექსტის ლინგვისტიკის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და კატეგორია; იგი ეხებოდა ჩვენი ეროვნული ენის ისტორიული არსებობის არსებითად ყველა ასპექტს – დაწყებული ცალკეული ენობრივი ელემენტებიდან და დამთავრებული ენის მნიშვნელობის განსაზღვრით ერის თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში.

პროფ. ვ. ბოედერის ერთ-ერთი უადრესი ნაშრომი ქართული

ენის შესახებ ეძღვნება ქცევის ზმნური კატეგორიის საკმაოდ რთულ სისტემას,<sup>1</sup> რომელიც არსებითად განასხვავებს ჩვენს ენებს კუთვნილებითი მიმართებების ევროპული ენებისათვის დამახასიათებელი სისტემისაგან. გავიხსენოთ, რომ ქართული მეცნიერული გრამატიკის ფუძემდებლისა და გარკვეულწილად, ასევე, ვ. ბოედერის მასწავლებლის – ა. შანიძის – ერთ-ერთი უადრესი ფუნდამენტური გამოკვლევაც ქცევის კატეგორიის გარკვევას მიეძღვნა.<sup>2</sup> მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარმა ვ. ბოედერმა პასუხი გასცა პირთა ქცევითი ურთიერთმიმართების მორფოლოგიური მარკირების, სისტემური სისრულისა თუ ანომალიის არაერთ გამოვლენას ქართულში.

ვინფრიდ ბოედერმა საგანგებო ყურადღება დაუთმო ქართული დამწერლობის წარმომავლობის, მისი ბგერითი შედგენილობის, გრაფიკული სისტემისა და ტიპოლოგიის საკითხებს.<sup>3</sup> მკვლევარი ემხრობა ასომთავრული ანბანის წარმომავლობის ბერძნულობის თეორიას და, თავის მხრივ, განამტკიცებს ბერძნულის გავლენის არგუმენტებს ქართული მწიგნობრობის შექმნის პროცესში. კერძოდ, იგი ვარაუდობს, რომ სპეციფიკურ ქართულ თანხმოვანთა ცალკე განლაგება უნდა ემყარებოდეს ბერძნულ ფონეტიკურ თეორიას, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს თანხმოვანთა რაგვარობაზე.

ვ. ბოედერი ასევე ეხება ასომთავრულის გრაფიკულ სპეციფიკას და მას განიხილავს როგორც სწორი ხაზისა და ნახევარწრის კომბინაციას ერთი კვადრატის ფარგლებში; ანუ არსებობს ანბანის გრაფიკულ ნიშანთა კონსტრუირების გარკვეული წესები, რომლის გამოყენებითაც მიიღება ძველი ქართული მრგლოვანი ანბანის თითქმის ყველა გრაფიკული სიმბოლო.

აქვე უნდა ითქვას, რომ ვ. ბოედერი იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილ ჰიმნს „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ ქრისტიანობას ნაზიარები ეროვნული ენის ბერძნულთან მეტოქეობის ამბიციის გამოვლენად მიიჩნევს და ეს ორგანულად ჯდება ისტორიულ კონტექსტში.

როგორც გერმანელი ქართველოლოგის მეცნიერული მემკვიდრეობიდან ჩანს, მისთვის ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ძველი ქართული სამწიგნობრო ენის მონაცემები აღმოჩნდა. მკვლევარმა ძველი ქართულის არაერთი რთული და დაუმუშავებელი ასპექტი ორიგინალური, თავისებური კუთხით წარმოაჩინა.

1 Über die Versionen des georgischen Verbs. – Folia Linguistica 2, 1968, გვ. 82-152.

2 ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი. – ტუმ, ტ. 6, 1926, გვ. 312-338.

3 Zur Analyse des altgeorgischen Alphabets. – “Forschung und Lehre”. Hamburg: Slavisches Seminar. [der Universität], 1975, გვ. 17-34.

აგრეთვე: Die georgischen Mönche auf dem Berge Athos und die Geschichte der georgischen Schriftsprache. – “Bedi Kartlisa” – Revue de Kartvelologie, vol. XVI, გვ. 85-95.

ძალზე მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა ვინფრიდ ბოედერმა ძველი ქართულის დაქარაგმების თავისებურებებს<sup>4</sup>. როგორც ცნობილია, ტექსტის ეკონომიის ეს გავრცელებული პრინციპი საკმაოდ მწყობრ სისტემას გვიჩვენებს ძველქართულ თარგმანებსა თუ ორიგინალურ სასულიერო მწერლობაში; თუმცა არაერთი ნაირგვარობაც იჩენს თავს; მაგალითად, ნაჩვენებია, რომ სიტყვა **წინაწარმეტყველი** დაქარაგმების რამდენიმე ვარიანტს გვიჩვენებს: **წნწყლ**, **წნაწრმტყლ**, **წნწყლ**, **წწმტყლ**, **წნტყლ**. თვით ვ. ბოედერი შესიტყვების – „სახელითა ღმრთისათა“ შემოკლებით დაწერილობის 20-ოდე ვარიანტს ადასტურებს. ამავე დროს, ამგვარ დაქარაგმან სიტყვათა აღნუსხვის გარდა, მეცნიერულად უფრო მეტ ინტერესს აღძრავს თვით დაქარაგმების სტრუქტურული ბუნება, მისი მექანიზმი. მკვლევარი გამოყოფს რამდენიმე პრინციპს:

1. პოტენციური სიტყვის პრინციპი (მთონნი : მათთანანი...);
2. ციკლური პრინციპი (ფ~დ : ფრიად, ვ~ე : ვიდრე, ს~ლი : სული...);
3. მორფოლოგიური პრინციპი (წ~ფ : წმიდაჲ, წ~ისა : წმიდისა...).

რაც მთავარია, ეს საკითხი განხილულია ემპირიული მონაცემების მაქსიმალური გათვალისწინებით, ფონეტიკის, მორფოლოგიის, მორფონოლოგიისა და სინტაქტიკის კანონზომიერებათა საფუძველზე.

ძველ ქართულში და კავშირის „ტექსტობრივ მნიშვნელობას“ ეხება გერმანელი მკვლევრის კიდევ ერთი წერილი „ძველი ქართული თხრობის ერთი ტექსტლინგვისტური თავისებურება: დაკავშირებულება და არადაკავშირებულება“, რომელიც ქართულად 1994 წლის გაერთიანებულ „მაცნეში“ (ელ სერია) გამოქვეყნდა. ეს საკითხი უფრო ადრე და უფრო ვრცლად გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე: „Und“ in den südkaukasischen Sprachen. I. Einige Verwendungen von **da** „und“ in der altgeorgischen Literatursprache.– Folia Linguistica 17. 1983, გვ. 287-326. ამ წერილებში, კალკირების აშკარა შემთხვევების გარდა (კ. დანელია), მითითებულია ძალიან ძველი სინტაქსური იზოგლოსა, რომელიც, ავტორის ვარაუდით, აერთიანებდა ძველი ახლო აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და საქართველოს ენებს. მკვლევარი ამ წერილში აანალიზებს ქართული აგიოგრაფიული მწერლობის სტანდარტულსა თუ სპეციფიკურ მონაცემებს და დაასკვნის, რომ „ძველ ქართულ თხრობით მწერლობაში და-ს ხშირი ხმარება უბრალოდ ხალხური და, ასე ვთქვათ, ბუნებრივად სავალდებულო როდია. უფრო მეტად და-ს ხმარება და გამოტოვება ახასიათებს იმ დროის თავისებურ ჟანრობრივ

4 W. Boeder, Versuch einer Sprachwissenschaftlichen interpretation der altgeorgischen Abkürzungen. – Revue des études georgiennes et caucasiennes, № 3, 1987, გვ. 33-81.

სტილს და, რაც მთავარია, თხრობის ტექსტს აძლევს საყურადღებო აზრობრივ რელიეფს“.

„მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილს აქვს საინტერესო მინაწერი, რომელიც ხელშესახებად წარმოაჩენს ავტორის მუდმივ კავშირსა და ინფორმირებულობას ქართველი კოლეგების მეცნიერული ინტერესების შესახებ: „მადლობას ვუხდი მერი დამენიას, რომელმაც გაასწორა ამ მოხსენების პირველი ვერსია. ტერმინ „დაკავშირებულობის“ ნაცვლად ჯერ მქონდა „გადაბმა“, მაგრამ ნ. ჩიჩუამ მიმითითა, რომ ეს ტერმინი უკვე დაკავებულია: „გადაბმა“ გამოყენებული აქვს ნანა შენგელაიას (1987: 78, 86, 99) თავის საინტერესო წიგნში და თარგმანია „cohesion“ და „coherence“ ტერმინებისა“ (გვ. 134).

ძველი ქართულის მრავლობითის -ეთ სუფიქსი (ვი-ეთ-, ლიპა-რიტი-ეთ-...) არაერთი ავტორის ყურადღების საგანი გამხდარა და ძირითადი მონაცემებიც უკვე გამოვლენილი იყო. მიუხედავად ამისა, ვ. ბოედერმა მაინც შეძლო სრულიად ახლებური კუთხით წარმოეჩინა ეს არქაული წარმოება<sup>5</sup>. მკვლევარი აღწერს როგორც ამ წარმოების სტრუქტურულსა და სინტაგმატურ ბუნებას, ასევე წარმოაჩენს ამ ე. წ. ელიფსური მრავლობითის ტიპოლოგიურ ბუნებას, აჩვენებს რა არაერთი ენის (ძველი არაბულის, ძველი ინდოგერმანულის...) საინტერესო პარალელს.

მსაზღვრელი ნაწევრის თავისებურ ადგილსა და მნიშვნელობას ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ეხება ვ. ბოედერის კიდევ ერთი წერილი: *Der Artikel in älteren Georgischen. – Sprache im Fokus. Festschrift für Heinz Vater zum 65. Geburtstag herausgegeben von Christa Dürscheid, Karl Heinz Ramers und Monika Schwarz. Tübingen: Niemeyer, 1997, გვ. 205-217.*

ძველი ქართული წინადადების აგებულების ერთ-ერთ კერძობით საკითხს ეძღვნება ვ. ბოედერის კიდევ ერთი გამოკვლევა: „დამატებითი წინადადების კავშირები ძველ ქართულში“ (ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1999, № 3, გვ. 28-44).

ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ გერმანელი მკვლევრის განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ლინგვისტთა ერთ-ერთმა მთავარმა „საჯილდაო ქვამ“ – ქართულ-ქართველურმა ზმნამ, მისმა მრავალსაფეხურიანმა მორფოლოგიურმა სტრუქტურამ და ჩახლართულმა კატეგორიებმა – და რამდენიმე პირველხარისხოვანი გამოკვლევაც მიუძღვნა შესაბამის საკითხებს. მაგალითად, უკვე ლინგვისტური ქართველოლოგიის კლასიკას ეკუთვნის ვ. ბოედერის

5 Anmerkungen zum Pluralsuffix -et im Altgeorgischen. – *Georgica*, Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, 15, 1992, გვ. 103-118.

ერთ-ერთი ადრეული გამოკვლევა – „haben“ in den Kartwelsprachen“ (Wege der Universalienforschung. Sprachwissenschaftliche Beiträge zum 60. Geburtstag von Hansjakob Seiler. Tübingen: Gunter Narr, 1980, გვ. 207-217.

„ქონების ზმნათა“ ეს თავისებური უბანი შემდგომ კვლევებშიც იყო მოქცეული მეცნიერის თვალთახედვის არეში:

1999 წლის ოლდენბურგის კავკასიოლოგიურ კონფერენციაზე წაიკითხა და 2009 წელს საიუბილეო კრებულში – გურამ კარტოზია 75 – გამოაქვეყნა ვ. ბოედერმა ვრცელი წერილი „Über die megrelischen „Haben“ – Verben, რომელშიც სამი მეგრული „ქონების“ ზმნა – მიღუ, პუნს და მაფუ არის დეტალური ანალიზის საგნად ქცეული და, ავტორისავე შეფასებით, ამ წინასწარ ანალიზში გამოკვეთილია თითოეული ამ ზმნის სემანტიკურ-ფუნქციონალური თავისებურება: მიღუ და პუნს კუთვნილებით და ლოკატიურ კონსტრუქციებში გამოიყენება, ხოლო მაფუ არასოდეს არ გვხვდება კუთვნილებით კონსტრუქციაში. ერთ კონსტრუქციაში ამ ზმნის „ქვემდებარე“ არის მოქმედების განმცდელი, მეორეში კი ის არის მიმართების მქონე პირი „ქონების“ ზმნის „დამატებასთან“.. მაფუ სასხვისო-სათავისო ქცევათა კონტექსტუალური ვარიანტია.

ვ. ბოედერმა სხვადასხვა დროს ასევე გაიხადა საგანგებო მეცნიერული დაკვირვების საგნად ქართული ზმნის პრევერბთა ფუნქციის, პირიანობის ასახვის, III სერიის ფორმათა რეზულტატიურობისა და სხვა საკითხები.

ვინფრიდ ბოედერმა პირველმა შემოიტანა ევიდენციალობის ცნება ქართულ-ქართველური ენობრივი მონაცემების ზოგი სპეციფიკური გამოხატულების საანალიზოდ.<sup>6</sup> ევიდენციალობის კატეგორია მოიცავს საკმაოდ რთულ, მრავალფეროვან ურთიერთიმართებას ტექსტში წარმოდგენილ ინფორმაციასა და მის ავტორს (ინფორმატორს) შორის. აქ შემოდის კატეგორიები უნახაობისა, პირდაპირი და ირიბი ნათქვამისა და მისთ. ვ. ბოედერი განიხილავს ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველურ ენათა მონაცემებს ამ კატეგორიათა სინქრონიული გავრცელებულობისა და ისტორიული დინამიკის თვალსაზრისით და გამოაქვს ღრმა და შორსმიმავალი დასკვნები ცალკეული ევიდენციალური კატეგორიის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მეცნიერის დასკვნით, ევიდენციალობა უფრო რთულსა და განვითარებულ სურათს იძლევა ქართველურ ენათა დასავლურ არეალში; ის არა

6 Evidentiality in Georgian. – L. Johanson & B. Utas. Evidentials: Turkic, Iranian and Neighbouring Languages. Empirical Approaches to Language Typology. 24. Berlin / New York, 2000, გვ. 275-328. მისივე: Speech and thought representation in the Kartvelian (South Caucasian) Languages. – Typological Studies in Language, vol. 52, Amsterdam / Philadelphia, 2002, გვ. 3-48.

პირვანდელი, არამედ ისტორიულად გაჩენილი და გაძლიერებული მოვლენა ჩანს; ეს მოვლენა არეალური ბუნებისა უნდა იყოს და, როგორც ჩანს, გამვლენელი წყარო თურქული უნდა იყოს. რაც მთავარია, შესაბამისი კატეგორიები უკვე ჩამოყალიბებული სახით გვევლინება საშუალ ქართულსა და შემდგომ პერიოდში.

პროფ. ვ. ბოედერის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს უნივერსალური თუ სპეციფიკური სინტაქსური სტრუქტურები, უფრო ფართოდ კი – ტექსტის კონსტრუირების ბუნება სხვადასხვა სისტემის ენებში, მათ შორის, ქართულში. შეიძლება ითქვას, ტექსტის ლინგვისტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით იმ მასშტაბით არავის უკვლევია ქართული ენის მონაცემები, როგორც ეს ვ. ბოედერის შესახებ უნდა ითქვას. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი ამგვარი კვლევისა:

ტექსტის ლინგვისტიკის ძირითადი მოთხოვნების საფუძველზე ძალზე საინტერესოდ არის განხილული ვ. ბოედერის სპეციალურ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული სტრუქტურისა და შინაგანი შეკავშირებულობის საკითხი (Strophenstruktur und Textkohäsion Rustaveli. – ფილილოგიური ძიებანი, თბ., 1996, გვ. 37-55). ავტორი სვამს ტექსტის ლინგვისტიკის მთავარ კითხვას – „რა ქმნის ტექსტის კოჰერენციას?“ და პოემის სტროფთა სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე წარმოაჩენს პოეტური ტექსტის აგების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. მკვლევარი რამდენიმე ასპექტით განიხილავს ტექსტის სტრუქტურულ ბუნებას (საკვანძო სიტყვები, აფორიზმის ადგილი სტროფში, ტექსტური უწყვეტობა და წყვეტადობა...). ასეთი ანალიზის განსაკუთრებულ შთამბეჭდავ შედეგს იძლევა ტექსტური კოჰეზიის ის სურათი, რომელიც წარმოდგენილია 83-85-ე სტროფების (დაწყებული ტაეპიდან – „ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“) სტრუქტურული კონფიგურაციის სახით და რომელიც გაშლილია დასაწყისი (83-ე) სტროფის სამნაწილიანი სტრუქტურის საფუძველზე.

სრულიად აშკარაა, რომ ავტორი წარმოგვიდგენს იმ ტექნიკის სრულიად ახლებურ წაკითხვას, რომელიც ქმნის „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ტექსტის თემატური პოლიფონიურობისა და მრავალფეროვნების განუყოფელ შეკავშირებულობას ამ ვრცელი პოემის მთლიანი სტრუქტურის ფარგლებში.

გერმანელი მკვლევარი სპეციალურ წერილში განიხილავს ჯერ კიდევ ვ. თოფურიას მიერ მონიშნულ სინტაგმატური კონსტრუქციების „გამარტივების“ ზოგიერთ შემთხვევას.<sup>7</sup> ავტორი აანალიზებს

7 Einfachheit und Komplexität in der Geschichte der Kartvelsprachen. – იკეწ, ტ. 14, 1987, გვ. 23-62.



რამდენიმე სახის სინტაგმის განვითარების ისტორიულ დინამიკას და მიიჩნევს, რომ „ამგვარი ტენდენციების პირობებში საერთო მიმართულება „სემანტიკური გამჭვირვალებისა“ და „ოპტიმალური დამუშავებისაკენ“ შეიძლება შევავსოთ, როგორც იმ პროცესთა შედეგი, რომლებიც ტიპოლოგიურად დაკავშირებულია მეორე ენის შესწავლასთან.“ ავტორის შეფასებით, მინიშნებული ტენდენციები არეალური ბუნებისაა.

ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი მიმართვის ფორმების მეტად მრავალმხრივი ანალიზია წარმოდგენილი ვ. ბოედერის სპეციალურ წერილში „Zur Grammatik des Vokativs in den Kartwelsprachen“ (Studia Linguistica Diachronica et Synchronica... Berlin - New York - Amsterdam. 1985, გვ. 55-80). ამ სტატიაში წარმოჩენილია გარკვეული მისამართი ფორმულების სემანტიკურ-ფუნქციონალური დატვირთვა და ამ ერთეულების ადგილი შესაბამისი ფრაზის (წინადადების) სტრუქტურაში. როგორც კვლევა წარმოაჩენს, ამგვარი მიმართვის ფორმულების ექსპრესიული ხასიათი არ არის მოწყვეტილი, იზოლირებული შესაბამისი ფრაზის (წინადადების) სტრუქტურისაგან, თუმცა ამგვარი ერთეულების ჩართვის ადგილი და ფუნქციონალური დატვირთვა მეტად მრავალმხრივ, კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს, რისი ერთ-ერთი ნიმუშიც გახლავთ ვ. ბოედერის დასახელებული სტატია.

წერილი, რომელიც ვ. ბოედერმა 1983 წლის „გეორგიკაში“ გამოაქვეყნა, ეძღვნება ე. წ. ენობრივი (სამეტყველო) კოდების გადართვის პრობლემას<sup>8</sup> და, რაც უფრო საინტერესოა, ამის საილუსტრაციოდ აღებულია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებლის – ილია ჭავჭავაძის – პირადი წერილები ოლღა გურამიშვილისადმი. ეს ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ცხადია, უფრო თავისუფალ დამოკიდებულებას გამოხატავს სალიტერატურო მეტყველებასთან და ბევრ ისეთ რამეს წარმოაჩენს, რაც ეპოქის ცოცხალი პროცესებისათვის იყო დამახასიათებელი. აქ პირველ რიგში ყურადღებას იქცევს რუსული ენის გავლენის აშკარა კვალი, რაც ესოდენ ნიშანდობლივი იყო XIX საუკუნის საქართველოსათვის (აქ სრულიად ბუნებრივად ჩნდება პარალელი იმავე ეპოქის რუსულზე ფრანგული ენის გავლენისა, გამოვლენილი, მაგალითად, ლ. ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“). ამ წერილში, გარდა რუსულენოვანი გამონათქვამებისა („мой ангел!...“), საილუსტრაციოდ შემოტანილია ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები: კნინობითის ფორმები (ოლიკო, ოლინკა, ილიკო...), მიმართვის ფორმები (შენი ჭირიმე! ჩემო ტრედო! ჩემო გვრიტო! შენი სულისა!..), გარკვეული ფამილიარიზმები („ჩემო

8 Sprachwechsel bei Ilia Tschawtschawadze. – Georgica, 6, 1983, გვ. 14-19.

გიჟო!“; „რა არი, ქალო!..“), ცალკეული ხალხური გამონათქვამები („შენ-მაგარდამ“, „ოლიკო არ მომიკვდება!..“)...

როგორც ავტორი წარმოაჩენს, ამ არაერთგვაროვან მონაცემებს საკმაოდ სერიოზული პრობლემები უკავშირდება (პრობლემები კომპეტენციისა, სიტუაციისა, ექსპრესიისა...) და მათი სრულფასოვანი წარმოდგენა უფრო მეტ ემპირიულ მასალას მოითხოვს.

ვ. ბოედერი განსაკუთრებული დაინტერესებით სწავლობდა ქართველური ენების ცოცხალ დიალექტებს და მათს მონაცემებს აქტიურადაც იყენებდა საკუთარ გამოკვლევებში. ასევე მკვლევრის ცალკე დაკვირვების საგნად იქცა ამ ცოცხალი ენობრივი ერთეულების არაერთი საკითხი. ამისი ნიმუშია, მაგალითად, მისი გამოკვლევები სვანური პოეზიის ნარატივისა თუ ხევსურული ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური აგებულების შესახებ. ასევე საინტერესოა მისი ლექსიკურ-სემანტიკური დაკვირვებები ცხოველებისადმი მიმართვის („შინაურ ცხოველებთან საუბრის“) ქართული და სვანური მონაცემების შესახებ, „ერთი“ და „ყველა“ სიტყვების გენეზისისა და მნიშვნელობის შესახებ და სხვ.

ვ. ბოედერმა ასევე საგანგებო ყურადღება დაუთმო და ფრიად მნიშვნელოვანი სტატიები შექმნა ქართველური ენების ურთიერთმართების, ქართველთა ენობრივი ვინაობისა და იდენტობის ყოველი დროისათვის აქტუალურ საკითხებზე, რასაც ცალკე განხილვა სჭირდება.

ვ. ბოედერმა ძალზე ბევრი გააკეთა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ფართო პოპულარიზაციისათვის. მან მნიშვნელოვანი, ამაგისა და ღვაწლის დამფასებელი წერილები მიუძღვნა არაერთ გამორჩენილ მეცნიერსა და მათს ნაღვაწს (ი. ასფალგს, ვ. ბოუდას, ვ. ჰ. შმიდტს, რ. ბილმაიერს, ტ. გუდავას, ბ. გიგინეიშვილს...); იგი წლების განმავლობაში აქვეყნებდა აკადემიურ, საკმაოდ დეტალურ რეცენზიებს მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური გამოცემების შესახებ და ამისათვის ძირითადად იყენებდა პარიზში გამომავალ ორგანოს „Revue des études georgiennes et caucasiennes“. ამ სახით სხვადასხვა დროს მეცნიერის შეფასების საგნად ქცეულა გამოცემები: „საენათმეცნიერო ძიებანი“, „ჯეევანმარდი“, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, „დიალექტოლოგიური კრებული“, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, „ქართული ისტორიული საბუთები“ და სხვ. მკვლევრები (და მათი თხზულებანი): ა. შანიძე, ი. ბრაუნე, შ. ძიძიგური, ზ. ჭუმბურიძე, ო. თედევი, ო. კახაძე, ელ. ლომთაძე, გასტ. ბუაჩიძე, ვ. დანელია, ზ. სარჯველაძე, გრ. იმნაიშვილი, ალ. კობახიძე, ბ. ფოჩხუა, ე. ჯეირანაშვილი, ლ. კვანტალიანი, რ. ასათიანი, ჰ. ფენრიხი, ბ. ჯორბენაძე და სხვანი. მხოლოდ ამ

რეცენზიებში ჩახედვაც კი დაარწმუნებს მკითხველს, რაოდენ ფართო ლიტერატურა შეუსწავლია და შეუფასებია მეცნიერს და რა დიდი ინტერესი და სიყვარულია ყოველივე ამაში ჩაქსოვილი...

შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვთქვათ:

ძნელად მოიძებნება დღეს უფრო მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა, ვიდრე ეს გერმანიაში, ოლდენბურგში, ბოედერების სახლშია;

ძნელად მოიპოვება უფრო სრული ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ბიბლიოგრაფია, ვიდრე ეს თავისი ერთგულებითა და შრომისმოყვარეობით შეუქმნია ვ. ბოედერს.

ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ჩვენი – კავკასიელთა – ენების შესახებ უფრო ფართო ცოდნისა და ინფორმაციის მატარებელი ადამიანი, ვიდრე ვ. ბოედერია.

ძნელად ექნება ვინმეს იმდენი აქტიური და გადაუდებელი იდეა ქართულ-ქართველური ენების პრობლემათა კვლევისა, ვიდრე ვ. ბოედერს.

ამიტომაც, ღვაწლის დაფასებასთან ერთად, კვლავაც დიდხანს შრომა და „ფრიადი სამკალის“ კეთილად მოწევა და დაბინავება ვუსურვოთ მას!

**ავთანდილ არაბული**

## პროფესორი ვინფრიდ ბოედერი 75 წლისაა

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ:

პროფესორმა ალექსანდრე ლლონტმა ჰამბურგიდან არაჩვეულებრივი ქართული კალიგრაფიით შესრულებული წერილი მიიღო; „ბატონო პროფესორო, ჩვენ, ჰამბურგის უნივერსიტეტის გერმანელი სტუდენტები, ვეუფლებით ქართულ ენას, რომელსაც თქვენი მოწაფე – ნიკოლოზ ჯანელიძე გვასწავლის. ჟურნალ „მნათობში“ წავიკითხეთ თბილი რეცენზია თქვენს წიგნზე. ეგების გვაჩუქეთ ეგ წიგნი და ჩვენთვის საჭირო ქართული ენის სახელმძღვანელოებიც მოგვაწოდოთ“ – იტყობინებოდა ბატონი ვინფრიდ ბოედერი.

მას შემდეგ დღევანდელი ოლდენბურგის უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის ყოფილ გამგეს, შესანიშნავ ქართველოლოგს, ამჟამად უკვე ემერიტუს-პროფესორს არათუ არ შეუწყვეტია სამეცნიერო კონტაქტები ღვაწლმოსილ თუ ახალგაზრდა ქართველ კოლეგებთან, არამედ წლიდან წლამდე კიდევ უფრო ფართოვდება ეს ურთიერთობანი 75 წლის ასაკშიც კი (საოცარია, მაგრამ ფაქტია!).

შოთა რუსთველის დიდებული პოემის, „წმინდა ნინოს ცხოვრებისა“ და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გერმანულად მთარგმნელის – პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკისა თუ გერმანულ ენაზე გამოცემული ქართული ფუნდამენტური გრამატიკის ავტორის – პროფესორ კიტა ჩხენკელის მოწაფემ ღირსეულად განავითარა ჰამბურგის უნივერსიტეტის ლექცია-სემინარებზე მოსმენილი ლინგვისტური მოძღვრებანი, განსაკუთრებით სინტაქსურ პრობლემებში. მის კალამს ეკუთვნის 127 საუკეთესო ნაშრომი როგორც ინდოევროპეისტიკაში, ისე ქართველოლოგიაში, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიაა.

მეტად საინტერესოა პროფესორ ვინფრიდ ბოედერის გამოკვლევები ქართული პალეოგრაფიული სისტემის, ქცევის კატეგორიის, კაუზატივისა და მეშველ ზმნათა შესახებ.

სამწუხაროდ, მოკლე სტატიაში ყველა მათგანზე ვერ შევჩერდებით. ამჯერად შევხებით მხოლოდ ქართველურ ენათა სპეციფიკურ კატეგორიას – ზმნის ქცევას, რომელიც, ბუნებრივია, არაერთი თავისებურებით იქცევა ყველა უცხოელი ლინგვისტის ყურადღებას. ამ მხრივ პროფესორი ვინფრიდ ბოედერი არათუ გამონაკლისი არ ყო-

ფილა, არამედ მან დეტალურად შეისწავლა ინდოევროპულ ზმნათა მორფოლოგიურ კატეგორიათაგან სრულიად განსხვავებული ქართველური მონაცემი და, მიუხედავად იმისა, რომ მასზე არაერთი ფუნდამენტური გამოკვლევა არსებობს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ (ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. ჯორბენაძე, ი. მელიქიშვილი, მ. მაჭავარიანი, ა. ონიანი, გ. გოგოლაშვილი, გ. დეცეტერსი, ჰ. ფოგტი, რ. მეკელაინი, გ. კეტლერი, ვ. პეშენი, ...), წარმოადგინა სრულიად ორიგინალური დაკვირვებანი. ასე მაგალითად, ბატონი ვინფრიდისთვის ქცევის კატეგორიის არსის გასაგებად მორფოსინტაქსურ დონეზე ამოსავალია არა პირდაპირ ობიექტთან მიმართების კვლევა (როგორც ეს დღემდე მიღებულია სპეციალურ ლიტერატურაში), არამედ კუთვნილების აღმნიშვნელ და ამ ფუნქციას მოკლებულ ირიბ ობიექტთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. ვინფრიდ ბოედერის აზრით, ა-, ი-, უ-, ე- მორფემები შეიძლება იყოს როგორც მნიშვნელობის მატარებელი, ასევე ნეიტრალური. პირველ შემთხვევაში ისინი ირიბ ობიექტზე მიუთითებენ (ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად), ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი მიმართება გამორიცხულია. საყურადღებოა, რომ ა- პრეფიქსი მისთვის მნიშვნელობის მატარებელია მხოლოდ საზედაო (და არა საარვისო) ქცევაში, სამაგიეროდ, საარვისო ფორმებში ასეთი მახასიათებელი შეიძლება იყოს ი-ხმოვანი (მაგალითად: „მე ვ-ი-ყიდ-ი წიგნს მისთვის“).

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ვინფრიდ ბოედერმა არა მარტო ქართული შეისწავლა ბრწყინვალედ, არამედ დანარჩენი ქართველური ენებიც – რამდენიმეჯერ იმოგზაურა სვანეთში და თავისი შრომები გაამდიდრა არქაული სტრუქტურის მქონე ენის მონაცემებით. ამ თვალსაზრისით ჩემთვის, როგორც სვანოლოგისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია: „თხრობის სტრუქტურების პრობლემა სვანურ პოეზიაში“, „ქართულ-სვანური ენების არსებით სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმების გადმოცემა სხვა ენათა ატრიბუტივებით“, „პირდაპირი და ირიბი ნათქვამი ქართველურ ენებში“. ამათგან პირველი ჩემი საკანდიდატო დისერტაციის თემატიკის ნაწილი გახლდათ, მეორე – სადოქტოროსი, ხოლო მესამე – სადიპლომო ნაშრომისა. ბატონმა ვინფრიდმა ჩემი სამივე ნაშრომი დეტალურად განიხილა, ძირითადად გაიზიარა მათში წარმოდგენილი ახალი დებულებანი და ინგლისურ მონაცემებთან შეპირისპირებით წარმოადგინა მანამდე სრულიად უცნობი უნივერსალიები სვანური ენის ირიბ ნათქვამთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეტყველების აქტის მონაწილეთა ზმნურ ფორმებს და ზოგი რამის ახსნა ივარაუდა სვანურ-ქართული ბილინგვიზმით (ალბათ, დიგლოსია სჯობდა!).

ჯერ კიდევ 1962 წელს ჩვენს სადიპლომო ნაშრომში „ნაწილაკოვანი სხვათა სიტყვა სვანურში“ გაკრიტიკებული იყო იმხანად სპეციალურ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრება **ესერ და როქ[ჰ].../ ლოქ[ჰ]** მონაცემებიან კონსტრუქციებთან ნაცვალსახელთა თუ ზმნათა პირველი ან მეორე პირის ფორმების შეუთავსებლობის შესახებ. ბატონმა ვინფრიდმა ჩვენს სრულიად უტყუარ ფაქტებს თავისი დაუმატა როგორც პროზაული, ისე პოეტური პუბლიკაციებიდან, აგრეთვე თანამედროვე ცოცხალი სვანური მეტყველებიდან (ამის შესახებ დეტალურად იხ. ვინფრიდ ბოედერის გამოკვლევა „Speech and thought representation in the kartvelian {South Caucasian} languages“, *Typological Studies in Language*, Amsterdam/Philadelphia, 2002 და ქეთევან მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ვეიდენციულობის კატეგორია სვანურ ენაში“, თბილისი, 2012) და წარმოადგინა შესაბამის კონსტრუქციათა ფუნდამენტური ანალიზი. გერჰარდტ დეეტერსის ბრწყინვალე მონოგრაფიაზე (*Das khartwelische Verbum*, Leipzig, 1930: 184) დაყრდნობით, ნაწილაკოვან სხვათა სიტყვაზე მსჯელობისას, ვინფრიდ ბოედერი გახაზავს ფუნქციურ შესატყვისობებს ზმნის პირთა მთავარი ოპოზიციის ნეიტრალიზაციის პირობებში და საგანგებოდ აღნიშნავს: „ჩემს ინფორმატორებს უხდებოდათ ხოლმე თვალის მიდევნება წინა კონტექსტისათვის, რათა გაერკვიათ – ვინ გააკეთა რა ვისთვის“; აქვეა განხილული არა მხოლოდ პირთა, არამედ დროთა ნეიტრალიზაციის შემთხვევები სვანური ენის ირიბ ნათქვამში. რაც ყველაზე მთავარია, ბატონმა ვინფრიდმა გააღრმავა ქართველოლოგიაში ჯორჯ ჰუიტის (Hewitt G., *From direct to indirect speech*, *Folia Slavica*, 1982) მიერ შემოტანილი „ნახევრად ირიბი ნათქვამის, როგორც ეპისტემიკური მონაცემის“ ცნება და სამომავლოდ დასახა გზები სხვადასხვა სამეტყველო ტიპების ფუნქციათა შესასწავლად.

პროფესორი ვინფრიდ ბოედერი საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. ის სისტემატურად მონაწილეობს ჩვენი საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმებისა თუ კონფერენციების მუშაობაში მოხსენებებით. ერთ-ერთი ასეთი დისპუტის დროს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ გერმანელი კოლეგა თავისი მოღვაწეობისა და გარეგნობის მიხედვით ქართველ წმინდანებს შეადარა. რასაკვირველია, ყველას გაგვიხარდა ამის მოსმენა, მაგრამ უნდა გენახათ, თავად როგორ იდგა კათედრასთან, ბავშვივით დარცხვენილი და თავჩაქინდრული – „არა ღირს ვარ“-ო...

საოცარია მისი კამათის სტილი კოლეგებთან, განსაკუთრებით ქართველებთან! როგორი რთული შეკითხვა თუ შენიშვნაც უნდა მივცეთ, არასდროს აღელდება (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვამ-

ჩნევთ!..), უდიდესი ინტელიგენტური სიღინჯითა და ბრწყინვალე ქართულით ისე გვიპასუხებს ხოლმე, რომ მთელი აუდიტორია აღფრთოვანებულია მისი ინტელექტით, მაღალი კულტურით, მოკამათისადმი კეთილმოსურნეობის გრძნობით, საოცარი თავმდაბლობით. ყოველთვის უღრმეს მადლობას გვიხდის იმის გამო, რომ „ნოსტალგიის განუკუთრებელი სენით დაავადებული“ შესანიშნავი ქართველი მასწავლებლის, პროფესორ ნიკოლოზ ჯანელიძის მოღვაწეობამ და მისმა პიროვნულმა ხიბლმა მიიყვანა ინდოევროპული ლინგვისტიკის ჩინებული სპეციალისტი ქართველურ ენათმეცნიერებამდე და იმ ვერამდე თუ ენებამდე, რომელთაც უძველესი კულტურა აქვთ. პირადად მე ხშირად მეუბნება: „ჩვენ გვაერთიანებს **ლუშნუ ნინი{შ} მალატ**“ (ანუ სვანური ენის სიყვარული).

ბატონი ვინფრიდი ყოველთვის საქემის კურსშია იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. მას არასდროს გამორჩება არც ერთი ქართველი ენათმეცნიერის საიუბილეო თარიღების ან ახალი წიგნებისადმი მიძღვნილი პრეზენტაციები. მინდა გავიხსენო აკადემიკოს ვარლამ თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოს“ წარდგენა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

ბატონ ვარლამს ხელნაწერი საწერ მაგიდაზე დარჩა დაუმთავრებელი სახით... ნახევარი საუკუნის მანძილზე ვერა და ვერ მოხერხდა მისი პუბლიკაცია; ბოლოს, როგორც იქნა, უდიდესი მასწავლებლის მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა 2008 წელს შევძელით იმ წიგნის გამოქვეყნება, რომელსაც დღესაც არ გასვლია ყავლი. მაშინაც ძალიან თბილად და საქმიანად გამოგვეხმაურა პროფესორი ვინფრიდ ბოედერი საერთაშორისო ჟურნალ **Georgica**'ს ფურცლებიდან:

**ვარლამ თოფურია თავისი მოწაფეების მეხსიერებში დღემდე „პედაგოგიურ გენიად“ რჩება.** ამიტომაც ამ წიგნის გამოქვეყნებას მე ვაფასებ როგორც პრაქტიკულ წვლილს **სვანური ენის (დიახ, ენის და არა დიალექტის)** კვლევაში, ენისა, რომლის ცოდნა და გამოყენება, სხვადასხვა მიზეზის გამო, უფრო და უფრო რთულდება, ენისა, რომელიც, მიუხედავად ბრწყინვალე ენათმეცნიერული შრომებისა, ბევრად უფრო საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და რომლითაც აუცილებლად უნდა დაკავდნენ კარგი ლინგვისტური განათლებითა თუ სვანურის პრაქტიკული ცოდნით გამორჩეული ახალგაზრდები. გარდა ამისა, ასეთი წიგნი, ალბათ, ამ ენაზე მოსაუბრეთ სტიმულს მისცემს, რომ საკუთარი ენობრივი კულტურა არ დაივიწყონ...

ვარლამ თოფურიას ახალ წიგნში ერთი ტექსტის მეტად საყურადღებო სათაური ვიპოვე. ესაა **ნინი ლინალ ჩიგარ ხოჩა ლი** („ენის ცოდნა ყოველთვის კარგია“). ეს წინადადება ძალიან მომწონს, როგორც ფილოლოგიის ფაკულტეტის ლოზუნგი, ოღონდ ფრჩხილებში უნდა დავუმატოთ: „სვანურის ცოდნაც.“

ვარლამ თოფურიას წიგნის პრეზენტაცია მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომას ემთხვევა. ასეთი სხდომები „აკადემიური საქართველოს“ გასაოცარი ტრადიციაა და, ჩემი აზრით, არ არის მხოლოდ შესანიშნავი მასწავლებლის პატივისცემა, არამედ კიდევ უფრო მეტად მონაწილეებისთვისაა იმის დაპირება, რომ **დიდი მეცნიერის მემკვიდრეობას გააგრძელებენ.**

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაიხარა ბატონმა ვინფრიდმა, როცა მე და ჩემმა მოწაფეებმა გამოვეცით ფუნდამენტური აკადემიური წიგნი „კოდოული ქრონიკები“, რომლითაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილს გადაურჩა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში ზემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მეტად საინტერესო ინტერფერენცირებული დიალექტი, მიღებული ბალსზემოური და ბალსქვემოური მეტყველების ურთიერთშერწყმით. გთავაზობთ ამონარიდს პროფესორ ვინფრიდ ბოედერის გამოხმაურებიდან:

„ქალბატონო იზა, თქვენ, როგორც ერთ-ერთმა მცირეთაგან საქართველოში, სიცოცხლე შეუნარჩუნეთ მეცნიერებას სვანური ენის შესახებ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შესანიშნავი ლინგვისტები: ვარლამ თოფურია, გივი მაჭავარიანი, მაქსიმე ქალდანი და ალექსანდრე ონიანი ასე ადრე წავიდნენ ჩვენგან. მხოლოდ ეს ბიოგრაფიული ფაქტორიც იქნებოდა საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ დავფიქრებულებიყავით სვანოლოგიის მომავლისა და გადაუდებელ ამოცანებზე, მაგრამ აქ მე, უპირველეს ყოვლისა, მინდა, ვილაპარაკო **მონუმენტური ნაშრომის „კოდორული ქრონიკების“** შესახებ, რომლის გამო გულწრფელად მოგილოცავთ თქვენ და თქვენს მოწაფეებს და რომლითაც **სამართლიანად შეგიძლიათ იამაყოთ...** სხვადასხვა თვალთახედვა დიალექტოლოგიისა და ენათმეცნიერების, მეხსიერების კულტურისა და ისტორიისა აქცევს ამ წიგნს ნაშრომად, რომელსაც ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. ეს არის მრავალმხრივ სასარგებლო შრომა, რომლითაც პროფესორმა იზა ჩანტლაძემ და მისმა მოწაფეებმა კოდორელი სვანების საქმეს, სვანურ ენას და ქართველოლოგიას ძალიან დიდი სამსახური გაუწიეს – იმედი მაქვს, რომ მალე გამოვა მეორე ტომი, რომელსაც ჩვენ, ქართველოლოგები, მოუთმენლად ველოთ.“

უდიდესი მადლობა ბატონ ვინფრიდს ჩვენი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, II-III-IV ტომების გამოცე-



მაზე ოცნებაც კი ველარ წარმოგვიდგენია საქართველოს მეცნიერ-მკვლევართა თანამედროვე დაფინანსების პირობებში.

„პროფესორ ნიკოლოზ ჯანელიძეს მართლაც გადამდები სიყვარულით ჰყვარებია მშობლიური ენა და სულიერი კულტურა და ამ ღვთივობებზე ნიჭით მან უცხოეთში არაერთი მოყვასი შესძინა საქართველოს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მის დამსახურებად ისიც იკმარებდა, პროფესორ ვინფრიდ ბოედერს, ძირითადი პროფესიით ანგლოლოგს, ასე რომ შთააგონა ქართული ენობრივი სამყაროსადმი ინტერესი. თურმე იგი მოწაფეს ხშირად ეუბნებოდა: „**დედაენა უცხოეთში სამშობლოს უდრისო**“ (ავთანდილ არაბული, „ბურჯი ეროვნებისა“, I-II, 2000; გვ. 4-5).

ბედუკულმარკობის გამო უცხო ქვეყანაში გადახვეწილ კაცს არაერთხელ მოუწია ჭირთა თმენა, მაგრამ მას საბოლოოდ უთუოდ გაუმართლა ბედმა – უნიჭიერესი შეგირდი და არაჩვეულებრივი ადამიანი ხვდა წილად ბატონი ვინფრიდის სახით, რომელსაც უმძიმესი ავადმყოფობით გატანჯული მოძღვარი არ მიუტოვებია თვით სიკვდილის სარეცელზეც კი უმემკვიდროდ დარჩენილ ნიკოლოზ ჯანელიძეს შვილივით უპატრონა.

პროფესორმა ვინფრიდ ბოედერმა 1990 წელს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მონიჭება დიდი სიყვარულით მომილოცა ღია ბარათით, რომელზედაც გამოსახულია სტრასბურგის ქალთა მუზეუმის ერთ-ერთი ულამაზესი ქანდაკება Kluge Jungfrau („ბრძენი ქალწული“)... მაშინ არც ისე ყმაწვილი გახლდით – სიბრძნეზე კი რა მოგახსენოთ?... მთავარი მაინც ისაა, რომ Jungfrau გერმანულში ერთ-ერთი თანავარსკვლავედის სახელიც არის და ამ ქანდაკებას ხელთ უპყრია ქართული გრაალის მსგავსი თასი, რომლითაც უღრმეს მადლობას მოგახსენებ არაჩვეულებრივ კოლეგას მის მიერ ოლდენბურგში დაარსებულ-დაფინანსებული „კავკასიოლოგიური სემინარებისთვის“, ჩვენეული სხივებით წლების მანძილზე რომ ათბობდა კლიმატურად ცივ ქვეყანას გულუხვი მასპინძლის წყალობით.

ბატონო ვინფრიდ, ჩვენი სამაგალითო კოლეგიალური ურთიერთობის წელთა სიმრავლე საფუძველს მაძლევს იმისთვის, რომ მთელი სულითა თუ გულით მოგესალმოთ თქვენი დაბადების 75-ე წლისთავზე და მზეგრძელობა გისურვოთ.

გილოცავთ და გლოცავთ!

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა მეცნიერები და სიკეთით აღსავსე პიროვნებები დედამიწის ზურგზე!..

**იზა ჩანტლაძე**

## უნიკალური გამოცდილება

ქართული ენის სოციალური ისტორიის სისტემური კვლევა პროფესორ ვინფრიდ ბოედერის სახელს უკავშირდება. ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია, რომ თავის დროზე საკმაოდ მაღალი სტანდარტებით გამორჩეულ ქართულ საენათმეცნიერო ტრადიციას დაუგვიანდა მშობლიურ ენასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვის დასმა, უფრო ზუსტად, ენის ფუნქციური პრობლემატიკის თემატიზაცია. ვგულისხმობ იმას, რომ 1983 წელს ათონის ივერთა მონასტრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე პირველად დაისვა კითხვა ქართული ენის სოციალური და საზოგადოებრივი როლის შესახებ; ეს კითხვა უცხოელ ქართველოლოგს, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ვინფრიდ ბოედერს ეკუთვნოდა.

უფრო ზუსტი იქნებოდა, ამ კითხვისთვის ქართული ენის განვითარების მთავარი კონცეპტები გვეწოდებინა, ვინაიდან მასში მკაფიოდ არის მონიშნული ადგილობრივი ენის ფუნქციონირების სისტემური კონტექსტები, ერთი – შიდაენობრივი, რომელიც ქართულს ყველა სხვა დანარჩენი, ისტორიულად დადასტურებული ენობრივი არეალისგან გამოარჩევს, და, მეორე – საერთო კულტურულ-რელიგიური, რომელშიც ქართულმა, როგორც სამწერლობო ტრადიციების მქონე ენამ, სრულფასოვნად დამკვიდრება მოახერხა. შდრ.

„თუკი რიგითი ენათმეცნიერი ქართული და აღმოსავლეთის ქვეყნების ენათა ისტორიას შეადარებს დასავლეთევროპული ენების ისტორიას, აუცილებლად გააოცებს ის დიდი სხვაობა, რაც ამ ენათა განვითარებაში შეიმჩნევა. მაგალითად, ინგლისურმა ენამ უკანასკნელი 1200 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, ხოლო დროის ამავე მონაკვეთში ქართული ენის ფორმებმა შედარებით ნაკლებად იცვალეს სახე, რაც იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ენათა განვითარების ისტორიაში (რამდენადაც იგი დადასტურებულია). ასევე არანაკლებად მოითხოვს ახსნას ეს ისტორიულ-ენობრივ-სოციოლოგიური საკითხი, როგორ მოხდა, რომ ქართული არა მხოლოდ ქრისტიანობის გამავრცელებელ ენად დამკვიდრდა, არამედ დღემდე ურყევად შეინარჩუნა თავისი ადგილი; რატომ ვერ მოიპოვა ბატონობა აქ ბერძნულმა, როგორც საეკლესიო, ლიტურგიის, მეცნიერების და აგრეთვე როგორც სალიტერატურო და სახელმწიფოებრივმა ენამ, როგორც ეს შესაძლებელია მოსალოდნელი ყოფილიყო ევროპაში ლა-

თინურის ანალოგიის საფუძველზე?“ [ბოედერი 1983: 85]

ბატონ ვინფრიდს არ დაუმალავს გაკვირვება, როცა ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიის თუ სხვა დარგების ისტორიის გვერდით, ქართული ენის სოციალური ისტორიის შესახებ დაწერილი ვერაფერი ნახა. მან მისთვის ჩვეული თავმდაბლობით მოიბოდიშა, იქნებ, ასეთი კვლევა არსებობს კიდეც და მე არ ვიცი, ან კიდეც, ქართველებისთვის ეს კითხვა იმდენად ბუნებრივია, რომ მისი „თემატიზაციის“ საჭიროება, ერთი შეხედვით, არც ჩანსო. შდრ. „არ ვიცი, არის თუ არა ქართული ენის ისტორია განხილული სოციალური და საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, თუმცა ამ საკითხების ზოგიერთი ასპექტი, მაგალითად ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ისტორია, საფუძვლიანად არის შესწავლილი [კ. კეკელიძე, 1951, შ. ნუცუბიძე, 1960 წ.]. გარდა ამისა, არ გამაჩნია ძველი ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის ღრმა ცოდნა, რის გარეშეც ქართული ენის ისტორიის დაწერა ჩემთვის საინტერესო კუთხით შეუძლებელია“ [ვ. ბოედერი, იქვე].

ქართული ენის სოციალური ისტორიის კვლევა რომ ასე გვიან დაიწყო, ამას, ცხადია, სტანდარტული იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. საბჭოეთი განსაკუთრებული მონდომებით უმალავდა თავის ხალხს ენის სოციალური ისტორიის „შინაარსს“, კერძოდ, როგორ მკვიდრდება გარკვეული ფუნქციების მატარებელი ენა სოციუმში, როგორ იძენს გამოყენების ახალ-ახალ სფეროებს, ან კარგავს მათ, როგორ ივსება დროდადრო ენა კონცეპტუალური შინაარსით, ან როგორ იცლება ამ შინაარსისგან. ერთი სიტყვით, ენის სოციალური ისტორია, ლიტერატურის, ხელოვნების, ზოგადად, კულტურის სოციოლოგიასთან ერთად, არასასურველ დისციპლინათა რიცხვს ეკუთვნოდა; ბუნებრივია, რომ არც ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აინტერესებდათ საბჭოეთისთვის სასურველი სამეცნიერო თემატიკის დამგვემავებს.

